სასწავლო კურსის პროგრამის (სილაბუსის) შემოწმების რეკომენდაციები

სასწავლო კურსის სახელწოდება

სასწავლო კურსის სახელწოდება დაწერილია შემოკლებების გარეშე და შეესაბამება მის შინაარსს. გარდა ამისა, თუ იგი არის კონკრეტული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმაში, დასახელება ზუსტად უნდა ემთხვეოდეს საგანმანათლებლო პროგრამაში არსებულ მის დასახელებას. ქართულენოვან სილაბუსში სახელწოდება მოცემულია ქართულ და ინგლისურ ენებზე; ინგლისურენოვან სილაბუსში - ინგლისურ და ქართულ ენებზე; რუსულენოვან სილაბუსში - რუსულ, ქართულ და ინგლისურ ენებზე. ერთი და იგივე დასახელების სასწავლო კურსი ყველა პროგრამაში უნდა მოიცავდეს თანაბარი რაოდენობის კრედიტებს და არსად არ უნდა მეორდებოდეს იდენტური დასახელების სასწავლო კურსი კრედიტების სხვა რაოდენობით.

სასწავლო კურსის კოდი

სასწავლო კურსს კოდი ენიჭება დადგენილი წესის შესაბამისად - ათი ძირითადი და დამატებითი თანრიგები, რომლებიც ძირითადი ნაწილისგან გამოიყოფა ტირეთი. დამატებითი თანრიგები აღნიშნავენ სწავლების ფორმას და არის ლათინური ანბანის ასო (L - ლექცია, S - სემინარი, P - პრაქტიკული, B - ლაბორატორიული, K - საკურსო სამუშაო/პროექტი, R - პრაქტიკა). იგი ჩვეულებრივ არ ჩანს და გამოიყენება მხოლოდ სპეციალურ პროცედურებში (მაგალითად, მეცადინეობების ცხრილების ავტომატური შედგენის დროს). შემდგომში (კერძოდ, საგანმანათლებლო პროგრამაში) გამოიყენება კოდის მხოლოდ ძირითადი ნაწილი. სილაბუსში კოდი მოცემულია სრული სახით, უნდა შემოწმდეს მისი მინიჭების სისწორე და გამოირიცხოს დუბლირება ელექტრონული ბაზის გამოყენებით (სადაც იგი, ასევე, არის სრული სახით).

სწავლების ენა

შემოწმდეს, რომ მითითებულია ენის დასახელება, რომელზეც ხორციელდება სწავლება და სილაბუსი შედგენილია აღნიშნულ ენაზე. უცხოურენოვან სილაბუსს თან უნდა ერთვოდეს იდენტური ქართული თარგმანი.

სილაბუსის ავტორი/ავტორები

ცხრილი შევსებული უნდა იყოს სრულად (ყველა პუნქტი) და, რამდენიმე ავტორის შემთხვევაში, ყველა ავტორზე, მათ შორის, მოწვეულზე, ცალ-ცალკე. სამუშაო ადგილის გრაფაში ჩაწერილი უნდა იყოს ავტორის სამსახურის დასახელება, მისამართი და სხვა კოორდინატები, სადაც შესაძლებელია მასთან დაკავშირება. უნივერსიტეტის თანამშრომლისა და მოწვეული სპეციალისტის შემთხვევაში მითითებული უნდა იყოს ტექნიკური უნივერსიტეტის კორპუსი, სართული და ოთახი, სხვა შემთხვევაში - ავტორის სამსახურის რეკვიზიტები.

ცხრილში აუცილებლად უნდა იყოს მითითებული ავტორის თანამდებობა, საკონტაქტო ტელეფონები და ელ–ფოსტის მისამართი. უნივერსიტეტის თანამშრომლისა და მოწვეული სპეციალისტისთვის, მიზანშეწონილია gtu.ge დომეინის გამოყენება.

სასწავლო კურსის მიზანი

სასწავლო კურსის მიზანი ჩამოყალიბებულია მოკლედ, ლაკონურად და გასაგებად, შეიცავს ინფორმაციას იმის შესახებ თუ რა მიზანს ემსახურება ეს პროგრამა და არა იმის შესახებ, თუ რა ეცოდინება სტუდენტს ამ საგნის შესწავლის შემდეგ. მიზანშეწონილია, მიზნის წაკითხვისას ირკვეოდეს რომელ სასწავლო კურსს ეხება იგი.

კრედიტების რაოდენობა

სილაბუსში მითითებული კრედიტების რაოდენობა ადეკვატური უნდა იყოს სასწავლო კურსის შინაარსსა და სტუდენტის დატვირთვის მოცულობასთან. თუ აღნიშნული სასწავლო კურსი არის კონკრეტული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმაში, აღნიშნული კურსის კრედიტების რაოდენობა აუცილებლად უნდა ემთხვეოდეს საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებულ რაოდენობას.

დაშვების წინაპირობები

სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობებში მოცემული სასწავლო კურსი/კურსები (ან მათი არარსებობა) უზრუნველყოფს სასწავლო კურსით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. თუ აღნიშნული სასწავლო კურსი არის კონკრეტული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმაში, სილაბუსში მითითებული დაშვების წინაპირობები ემთხვევა საგანმანათლებლო პროგრამაში მოცემულ აღნიშნული სასწავლო კურსის დაშვების წინაპირობებს და ისწავლება ამავე პროგრამაში, მინიმუმ ერთი სემესტრით ადრე.

სწავლის შედეგები

ჩანაწერი ნათლად და გასაგებად ასახავს თუ რა ეცოდინება სტუდენტს ამ კურსის დასრულების შემდეგ და რა უნარებს შეიძენს. აღნიშნულია სასწავლო კურსის დასრულების შედეგად სტუდენტის მიერ მიღებული ცოდნა და შეძენილი უნარები. მნიშვნელოვანია, რომ ჩანდეს როგორ უზრუნველყოფს კურსის შინაარსი მითითებული შედეგების მიღწევას.

სწავლის შედეგების მიღწევის (სწავლება-სწავლის) მეთოდები

მითითებულია პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევისთვის აუცილებელი ცოდნის გადაცემის მეთოდები (საშუალებები), აგრეთვე, კონსულტაცია და დამოუკიდებელი მუშაობა. გარდა ამისა, აღნიშნულია სწავლება-სწავლის მეთოდების შესაბამისი აქტივობები: დისკუსია, დებატები, პრეზენტაცია, ჯგუფური მუშაობა და სხვა ვებ-გვერდზე არსებული სწავლება-სწავლის მეთოდებისა და შესაბამისი აქტივობების ჩამონათვალის მიხედვით. თუ მითითებულია სხვა მეთოდი ან აქტივობა, იგი უნდა იყოს განმარტებული. იხ. სწავლება-სწავლის მეთოდების ფორმები ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე

საათების განაწილება სტუდენტის დატვირთვის შესაბამისად (კვირა/სემესტრი)

მოცემულია სილაბუსით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევისთვის აუცილებელი ცოდნის გადაცემის მეთოდების შესაბამისი საათების რაოდენობა. აუცილებლია შევსებული იყოს ყველა უჯრა, მათ შორის, „კონსულტაცია“ და „დამოუკიდებელი მუშაობის“, აგრეთვე, მითითებული უნდა იყოს შუალედური/დასკვნითი გამოცდების საათების სავარაუდო ჯამური რაოდენობები. თითოეული ჩანაწერი კეთდება სასწავლო კვირისა და სემესტრის მიხედვით. არ არის აუცილებელი ლექცია, სემინარი, პრაქტიკული და ლაბორატორიული განაწილებული იყოს 15 კვირაზე. მეცადინეობები აღნიშნულია იმდენ სასწავლო კვირაში, რამდენშიც იგი არის გათვალისწინებული. ასეთი კვირები შემესტრში შეიძლება იყოს ნებისმიერი რაოდენობის, ბუნებრივია, არაუმეტეს 15-ისა. ისეთი კომპონენტებისათვის, სადაც შეუძლებელია დატვირთვის განსაზღვრა თითოეული კვირის მიხედვით (საკურსო სამუშაო/პროექტი, პრაქტიკა, დამოუკიდებელი მუშაობა და სხვ.), მითითებულია მხოლოდ საათების ჯამური რაოდენობა. სრული დატვირთვის საათების რაოდენობა შესაბამისობაშია სასწავლო კურსის კრედიტების მოცულობასთან. თუ აღნიშნული სასწავლო კურსი არის კონკრეტული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმაში, საათების განაწილება აუცილებლად უნდა ემთხვოდეს საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმაში მითითებულ საათების განაწილებას.

შინაარსი

ფორმაში მოცემული ცხრილებიდან შევსებულია მხოლოდ სტუდენტის დატვირთვის შესაბამისი ცხრილები. გამოუყენებული ცხრილები ამოშლილია. მეცადინეობების (ლექცია, სემინარი, პრაქტიკული, ლაბორატორიული) თემების დასახელებები და თითოეული მათგანის მოკლე შინაარსი ცალ-ცალკეა გაწერილი კვირების მიხედვით. ცხრილში აღნიშნულია იმდენი მეცადინეობა (შესაბამისი თემები), რამდენ კვირაშიც არის იგი გათვალისწინებული სემესტრის განმავლობაში. საკურსო სამუშაო/პროექტი და პრაქტიკა გაწერილია ნათლად, გარკვევით და კონკრეტულად ნებისმიერი რაოდენობის თემად, საკითხად ან ეტაპად.

სტუდენტთა ცოდნის შეფასების სისტემა

აღინიშნულია პროგრამით გათვალისწინებული სტუდენტთა ცოდნის შეფასების სისტემა, ფორმები, მეთოდები და კრიტერიუმები. შეფასების სისტემა და ფორმები დადგენილია საქართველოს კანონმდებლობით, ხოლო მეთოდები და კრიტერიუმები შერჩეულია ვებ-გვერდზე არსებული რეკომენდებული ჩამონათვალის მიხედვით http://gtu.ge/quality/Files/Pdf/GEO%20critteries.pdf

თუ მითითებულია სხვა მეთოდი იგი უნდა იყოს განმარტებული. მნიშვნელოვანია, რომ შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები ადეკვატური იყოს პროგრამით განსაზღვრული და მისაღწევი სწავლის შედეგების შეფასებისთვის. დოქტორანტურის სტუდენტების შეფასების განსხვავებული წესები მოცემულია შემდეგ მისამართზე: http://gtu.ge/pdf/danarTi_3_Sefasebis_wesi_2.pdf

ლიტერატურა

როგორც ძირითადი, ასევე, დამხმარე ლიტერატურა უნდა შეესაბამებოდეს სილაბუსის შინაარსს. თითოეულ წყაროს მითითებული უნდა ჰქონდეს სტუ-ს ბიბლიოთეკის მიერ მინიჭებული ინდექსი (შიფრი) და სხვა რეკვიზიტები დადგენილი წესის შესაბამისად. ძირითადი ლიტერატურისთვის აუცილებელია ბიბლიოთეკის ინდექსის მითითება, ხოლო დამხმარესთვის - არსებობის შემთხვევაში.

ძირითადი ლიტერატურა უნდა იყოს სასწავლო კურსის სწავლების ენაზე.

დამხმარე ლიტერატურად შესაძლებელია მითითებული იქნეს როგორც ქართულენოვანი, ასევე, უცხოურენოვანი ლიტერატურული წყარო.

აუცილებლად შემოწმდეს აქვს თუ არა სილაბუსს ყველა საჭირო ხელმოწერა და ფაკულტეტის ბეჭედი.

საჭიროების შემთხვევაში შეივსება „სასწავლო კურსის პროგრამის (სილაბუსის) შემოწმების ფურცელი“ (დანართი 1) და „საგანმანათლებლო პროგრამასთან სილაბუსის შესაბამისობის შემოწმების ფურცელი“ (დანართი 2). ეს უკანასკნელი შეივსება მხოლოდ სილაბუსის საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართვის შემთხვევაში.

დანართი: 2 ფურც.

სასწავლო კურსის პროგრამის (სილაბუსის) შემოწმების ფურცელი

საგანი _____

ჩანაწერი სილაბუსში	მოთხოვნების დაკმაყოფილება		
	სრულად	ნაწილობრივ	ვერ აკმაყოფილებს
1. საგნის სახელწოდება			
2. საგნის კოდი			
3. სწავლების ენა			
4. სილაბუსის ავტორი/ავტორები			
5. მიზანი[1]			
6. კრედიტების რაოდენობა			
7. დაშვების წინაპირობები			
8. სწავლის შედეგი			
9. სწავლების მეთოდები და აქტივობები			
10. საათების განაწილება სტუდენტის დატვირთვის შესაბამისად			
11. შინაარსი[2]			
12. ცოდნის შეფასების სისტემა, ფორმები, მეთოდები და კრიტერიუმები			
13. ძირითადი ლიტერატურა[3]			
14. დამხმარე ლიტერატურა[3]			
15. პრაქტიკასთან დაკავშირებული დოკუმენტები			
დასკვნა, რეკომენდაცია			

1. ა) ჩამოყალიბებულია მოკლედ, ნათლად და გასაგებად;
   ბ) შეესაბამება აკადემიურ და მეთოდურ სტანდარტებს;
   გ) შეესაბამება სტუდენტის მომავალი საქმიანობისათვის აუცილებელი ცოდნის, უნარებისა და ანალიზური აზროვნების განვითარებას
2. ა) შეესაბამება საგნის განვითარების თანამედროვე დონეს, სტანდარტებს, რეგულაციებს;
   ბ) შეესაბამება საგნის მიზანსა და სწავლის შედეგებს.
3. შეესაბამება სასწავლო კურსის შინაარსს.

საგანმანათლებლო პროგრამასთან სილაბუსის შესაბამისობის შემოწმების ფურცელი

საგანი _____

საგანმანათლებლო პროგრამა _____

ჩანაწერი სილაბუსში	შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას		შენიშვნა
	კი	არა	
1. საგნის სახელწოდება			
2. საგნის კოდი			
3. მიზანი			
4. კრედიტების რაოდენობა			
5. დაშვების წინაპირობები			
6. სწავლის შედეგები			
7. სწავლების მეთოდები და აქტივობები			
8. საათების განაწილება სტუდენტის დატვირთვის შესაბამისად			
9. ცოდნის შეფასების სისტემა, ფორმები, მეთოდები და კრიტერიუმები			
დასკვნა, რეკომენდაცია			